



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49. 492232911

თარიღი:25/11/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 151**

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“, ცვლილების შეტანის თაობაზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 15 ნოემბრის №48-482231940 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ახალი რედაქციით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილების შეტანას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

**1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“, წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შემდეგი სახით:**

- ა) წესდების მეორე მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:  
11. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სკოლაში სწავლებისათვის სათანადო მომზადებაში ხელშეწყობა .
- ბ) წესდების მესამე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:  
7.საბავშვო ბაღის არმქონე სოფლებიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული ან/და მცხოვრები ბავშვების არანაკლებ 5 კილომეტრით დაშორებულ უახლოეს ქალაქში ან სოფელში მდებარე საბავშვო ბაღში ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, თუ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში ან სოფელში არის სკოლამდელი ასაკის არანაკლებ 30 ბავშვი ან მეტი.
- გ) წესდების მეოთხე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:  
„4. გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებია: გაერთიანების ადმინისტრაცია, სათათბირო საბჭო და გაერთიანების შემდეგი ფილიალები: ქალაქ წყალტუბოს №1 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, ბესიკის ქ.№17 ), ქალაქ წყალტუბოს №2 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, ვაჟა-ფშაველას ქ.

№1), ქალაქ წყალტუბოს №3 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, გოგებაშვილის №3), ქალაქ წყალტუბოს №4 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქ.მე-4 შესახვევი), №5 ბაღი (მდებარე სოფელი გვიშტიბი), №6 ბაღი (მდებარე სოფელი მალლაკი), №7 ბაღი (მდებარე სოფელი ფარცხანაყანევი), №8 ბაღი (მდებარე კოპიტნარის დასახლება), №9 ბაღი (მდებარე სოფელი მესხეთი), №10 ბაღი (მდებარე სოფელი მუხიანი), №11 ბაღი (მდებარე სოფელი გეგუთი), №12 ბაღი (მდებარე სოფელი პატრიკეთი), №13 ბაღი (მდებარე სოფელი ტყაჩირი, №14 ბაღი (მდებარე სოფელი ოფშკვითი), №15 ბაღი (მდებარე სოფელი საყულია) №16 ბაღი (მდებარე სოფელი ახალი საყულია), №17 ბაღი (მდებარე სოფელი გუმბრა), №18 ბაღი (მდებარე სოფელი ოფურჩხეთი), №19 ბაღი (მდებარე სოფელი რიონი), №20 ბაღი (მდებარე სოფელი ქვიტირი), №21 ბაღი (მდებარე სოფელი ხომული), №22 ბაღი (მდებარე სოფელი ცხუნკური), N23 ბაღი (მდებარე სოფელი თერნალი), N24 ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩა N15) და ასევე ის ფილიალები, რომლებიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნებიან ღნიშნული წესდების მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად“.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11)

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

